



შენ თქვი ისეთი სიტყვა, რომ თუ ის ზღვის წყალს შეერეოდა, მთლიანად გააფუჭებდა მას

გადმოცემულია მორწმუნეების დედა აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «ერთხელ ვუთხარი მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "საკმარისია შენთვის საფია ასეთი და ასეთი", (ერთი გადმოცემის მიხედვით, იგულისხმებოდა მისი დაბალი სიმაღლე). მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «შენ თქვი ისეთი სიტყვა, რომ თუ ის ზღვის წყალს შეერეოდა, მთლიანად გააფუჭებდა მას». შემდეგ აიშა ამბობს: "მე მივბაძე (მოძრაობებით ან ჟესტებით) ერთ ადამიანს, ხოლო მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მითხრა: «მე არ მიყვარს, რომ ვინმეს მივბაძო, თუნდაც ამის სანაცვლოდ ამას და ამას მომცემდნენ».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ და აჰმადმა]

მორწმუნეების დედამ უთხრა ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): შენთვის საკმარისია საფიადან (მისი ნაკლის ხსენებისთვის) იგულისხმებოდა, რომ მისი ფიზიკური ნაკლი ის არის, რომ იგი დაბალია. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): შენ ისეთი სიტყვა თქვი, რომ თუ ის ზღვის წყალს შეერეოდა, მას გადაფარავდა, შეცვლიდა და გააფუჭებდა და აიშა განაგრძობს: "ერთხელ, ვინმეს ქცევას დავემსგავსე მისი დამცირების მიზნით". შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: არასდროს ვისურვებდი, რომ ვინმეს ნაკლზე მესაუბრა, ან მიმბაძველობა გამომეჩინა მისი დამცირების მიზნით, თუნდაც ამის სანაცვლოდ ამ ქვეყნის დიდი სიმდიდრე მოეცათ ჩემთვის.

<https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3705>

